



საბჭოთა მუშაკი

ფასი: წლიურად 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., კვარტალურად 4 მ. ცალკე ნაწილებად 2 მ. 50 კ. ცალკე ნაწილებად 7 მ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილობრივ გადაიხადონ. ხელის მოწერილ დროს 3 მ., და ნაჩენი კიდევ ნაწილობრივად, განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევს 2 სათ. ღირს 8 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

ყოველდღიური საკომუნიკო და სალიტერატურო გაზეთი

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძეგლი, არ გაიცვლება სხვაზედა, ორივე ტკბილია ძმობილა, მიჩენენ ორსავე თვალზედა, როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“

ტელეფონი № 67.

ღრმად დანწუხებული ქირისფლები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 1 აგვისტოს, დილის 9 საათზე, ქუთაისის ქართველ კათოლიკთა ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვილი

ზავლე სტეფანეს ძის მეფისაშვილის
სულის მოსახსენებლათ. 2-1-757.

27 ივლისს, ხანმოკლე ავთომყოფობის შემდეგ გარდაიცვალა **თეკლე მამუკას ასული კანანაძისა,**

რასაც აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს შვილი ივანე კანანაძე, რძალი სადგურა კონსტანტინე ასული და შვილის შვილები: ილია, ანტონინა (ტონია) და ლილი ივანეს ძე და ასული კანანაძეები. გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება 30 ივლისს, დღით ხუთშაბათს, ნაშუადღევს 5 საათზე, ორწირის ქუჩა, საღვთონ წერეთლის სსლიდან სთაინისის სასაფლაოზე. პანაშვილი ეოველ დღე, სღამოს 7 საათზე. ცალკე წერილები არ დარიგდება. 2-1-546

კონსტანტინე (კოსტა) სიმონის ძე მკვანასძე, მეუღლე მისი ელისაბედ ზავლეს ასული მკვანასძისა, შვილები მათი: ვლასი, სერგო, ნესტორ, (საშა) ალექსანდრე და დანარჩენნი ნათესავნი და მოყვრები გულისხმადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, პირველი ძვირფასი შვილის, მეორეა თავისი ძმის მე. ი. უბანის პლასტუნის ბატალიონის პრამორჩიკის

ვასილ (ვასიკო) კოსტანტინეს ძის მკვანასძის

გარდაცვალებას, რომელიც გმირულად იქნა მოკლული ავსტრიის საზღვარზე 15 ივლისს. განსვენებულის ცხედარი მოსვენეს 26 ივლისს ქ. ქუთაისში. დაკრძალვა მოხდება 30 ივლისს, დღით ხუთშაბათს, ნაშუადღევს 5 საათზე, მთავარ ანკელაზის ეკლესიის სასაფლაოზე, მესხეთის ქუჩა, სკ. სსლი. პანაშვილი ეოველ დღე, სღამოს 6 საათზე. 2-1-544.

დაიბეჭდა ა. გარსევანიშვილის წიგნაკი **მაია**—მათე შაჩაღათ წოდებული. იხილება ყველა წიგნის მაღაზიაში.

1915 წ. 28 ივლისი-ლის დან დაიწყო **იაფი ვაჭრობა** ფართულად ნაჭროვით და თოფოვითაც.

რადგანაც დროისა გამო შეუძლებელია „ვიბორის“ შეგროვება მაღაზიაში, — მისთვის დაგეგმულ ერაღროულად იაფათ ვაჭროვით, რაც ფართალი ვაჭრისა და მოვსკოთ ვაჭრობა. ამიტომ ვაუწყებ პატივცემულ მეიდველებს ისარგებლონ შემთხვევით.

საქონელი სხვადასხვა: საზაფხულო—სუფთა და მალტე, უვალნი, შალბის; ამნაირივეუცხოეთის ძაფის, აქურნიდა, ვაფლინი ჩითები, საკასტუმები ყოველ დროს შალეუ ლი ქალისა და კაცის. აბრეშუველი, სტოლის საფრები, ტულები და ქალის შეყვრილი პალიტოები და სხვადასხვა, (ფასები უკანასკნელია.) ქუთაისი, აზოვის ბანკის ქვედა სართული. **მაღაზია პატარიძისა.**

ელექტრო „რადიოში“ თეატრი

საზაფხულო შემოგაზი.
ხუთშაბათიდან, 30 ივლისიდან, ნაჩვენები იქნება სურათი:
I. **რუსეთის სამხედრო ძრონიკა.** სკომპოზიციის კომპოზიტისა მე-18 სერია.
II. **მოანაშ. „რადიოში“ — სენსაცია ა ჩ რ დ ი ლ ი**
კატარკლისა. მხატვრული დრამა სამ. ნაწილით. ფრანგ მსახ. ქალის ნაპერკოვსკიას მონაწ.
III. **ჩ ა შ ლ ი ლ ი ა რ შ ი შ ო ბ ა** ძლიერ კომიკური სურათი.

ანონსი: ორშაბათიდან, 3 აგვისტოდან ნაჩვენები იქნება სურათი: **ფეველისაგან გათავისუფლებული.** დრამა 3 ნაწილით „ნორდისკისა“ ნათაშევი ბ. გარისონისა, ელზის, ფრეილიზისა და ალმი ხინდინგის მონაწილეობით **სამი მკვირი მთ ლაჭავი.** ორიგინალური კომედია „ნორდისკისა“. ნათაშევი კოროტიკინისა და ტრიბოლტის მიერ.

გაბრიელ იოსების ძე ექიმი გოკიელის ელმობრონისა და სინათლის კანონები. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავთომყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი. თ.

გ. დ. ნასარიძე შინაგანი, ნერვების და ბავშვის სნეულებით ავთომყოფებს იღებს დილის 8 — 2 საათამდე და საღამოთი 6 — 8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ეოფილი ქაჯაქის თავის დ. ა. ლორთქიფანიძის სსლი. თგ.

დოქტორი მედიცინისა, პრივატ დოცენტი ვარლამ კავლას ძე მოსეშვილი 8 მისილგან მიიღებს ავთომყოფებს დილის 8 საათიდან ნაშუადღევს 2 საათამდის და ნაშუადღევს 5 საათიდან საღამოს 8 საათამდის. გოშპიტლის ქუჩა, მსეშვილის სსლი, სზინის პირდაპირ № 6. თ.

ექიმი ი. ჩარაქოვი ქალაქ. საავთმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავთომყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12 — 2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

კერძო ექიმი მისილ კ ა შ ი ა კურნავს ყოველგვარ თავის ტკივილის ავთომყოფებს, დეპულობს დილის 7 საათ. მისამართი: მესამე ალექსანდრეს ქუჩა, პეტრე-პავლეს ეკლ., სსლი დავ. კაშისი თგ.

მასაჟით სამკურნალო კაბინეთი

მარ. ბალანჩივაძისა. ვკურნავ მასაჟით, საქიმო ვარჯიშობით. ვსპო სახეზე: მუწუკებს, ნაოკებს, კორფს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავთომყოფობას. ამასთან ვუტრი ყვავილსაც და აგრეთვე ნამდვილად ვარჩენ თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშეღებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავთომყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთქიფანიძის სახლი. თ.

ბებია მ. მ. კოსტომიძე უტრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავთომყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

ბრიუსელის უნივერსიტეტის სწავლა დამთავრებული ქართველი ძალი ასწავლის და ამზადებს ორივე სქესის მოწაფეებს **ფრანგულ ენას.** პირობების შეტყობა შეიძლება „სამშობლოს“ რედაქციაში დილის 9 ს. 12 საათამდე. თ.

საშუალო სასწავლებლის უნეროს კლასებისათვის, უმაღლეს დასწავლის 4 კლასიან სასწავლებლის უველა კლასისათვის **ვამზადებ მოწაფეებს, ეგზამენის დაჭერა უზრუნველ ეოფილია.** **მისამართი:** ივანოვის ქუჩა, პარიკმასკერის ნიკიფორე ქათამაძის სსლი № 32. პირობების შეტყობა შეიძლება საღამოს 5—7 ს.

ვაჟა-ფშაველას გარდაცვალება.

ვაჟა ფშაველა. (მოგონება.)

კიდევ სიკვდილი... კრემლოთა ნაკულუ-
ლი... დაუსრულებელი ტანჯვა-მწუხარება
შინ და გარეთ!.. ჯერ თვალზე კრემლი
კიდევ არ შეგვშრობია...

რომ აქ კიდევ შინაური ამბები,
ოჯახური გულის ტრევილი სულს გვიხუ-
თავს, დაუზოგველათ გვექნენის, ღრმათ
გვალონებს.

აი, კიდევ სხვერპლი, სხვერპლი უდრო-
ვო, სხვერპლი საგრძნობელი, მთელი სა-
ქართველოსთვის დიდი დანაკლისი.

ულმობღვლა სიკვდილმა მოგვტაცა ჩვე-
ნი ნიჭიერი მგოსანი, მთის ამაყი სული,
მკაცრი მთის გულის ნადების სინამდვი-
ლით გადმომცემი, გამომხატველი.

ალარ გვყავს ვაჟა! ის ვაჟა, რომელიც
პირველად სამოც და ჩვიდმეტ წლებში ქ.
გორში გავიცან.

ავგისტოს უკანასკნელი რიცხვები იყო.
ჰაერში შემოდგომის სუნი ტრიალებდა.

გორის ბაღები, საყე მწიფე ყურძნით,
ხაშხაშა ვაშლებით და ტკბილი ხეხილით
არაშეყოფილად გვიჩვენებდა თვალს და თავის
მიღამობისაკენ გვეპატიებოდა. ერთს ამ-
გვარ ბაღის შუა გულში, ქალაქის განა-
პირას ორ სართულიანი ქვეტკირის შე-
ნობა ვაჟაკურათ და ამაყის სახით გადა-
ჩერებოდა იქვე, გვერდში ამოტუზულ,
ღარიბ ღატაკთა ქონხაგებს და თავის ვი-
წრო ეზოში ასი და ორასი, უწვერ-ულ-
ვაშო, სიცოცხლით სავსე პატარა ბიჭე-
ბისათვის მოეყარა თავი.

აქ თქვენ ნახავდით ჩვენი ქვეყნის თი-
თქმის ყოველი კუთხის წარმომადგენელს:
აგერ, დგას ვაჟ-კატური შეხედულების დინ-
ჯი კახელი თავის ეროვნულ ტანისამოსში
გამოწყობილი, გვერდში პატარა კახელი
უდგია და ფიქრებით მოცული მათი სახე
ყველას ნათლათ, გარკვეულათ გეუბნე-
ბათ: სწავლა გვწყურია, სწავლა გვინ-
დაო!

აგერ, სიცოცხლით სავსე იმერელი გა-
რბის, ხელში რაღაც ქალაქი უკავია და
ღირქტორის ბინას კითხულობს.

თხოვნა აქვს. შვილი ჰყავს. სასწავლე-
ბელში უნდა მიიბაროს.

ეზოს ერთ კუთხეში, თეთრი ჩოხებით,
ქრელი წინდებით და ქალაზნებით დგა-
ნან ოსები და თავიანთ შვილებს არაგე-
ბენ, მათ გამოცდას ელოდებიან...

მეორე კუთხეში სხვასთან ერთად იდგა
ქალარით შემოილი ერთი ღვდელი.

გვერდში უდგა პატარა, მაგრამ სუქა-
ნი და ბექებ ფართო ვაჟა. ფეხზე უბრა-
ლო წულეები ეცვა და თავზე შავი ნაბდის
თუშური ქუდი ეხურა.

ეზოში შევედით თუ არა პირველათ ჩე-
მი ყურადღება ამ ორმა პირმა მიიზიდა.
თვალები უცებ წამერთვა და სულ მას
ვუცქეროდი.

ჯერ ის მაკვირვებდა, რომ, როგორც
მამა, ისე, შვილი სულ სხვანაირათ ჩაცმულ
დახურული იყვნენ. მე, როგორც იმე-
რელს, მეუცხოვა მათი ჩაცმულობა. და
მეორეთ ამ პატარა „თუშის“ შეხედულო-

ბა და სიცოცხლით სავსე თვალები მიზი-
დავდა.

შუატანის ჩაფსკენილ, ჩაშრულსუნებული
ბიჭი, სუქანი ლოყები, სქელი და ფართო
ბექები, შავი მაყვალის მსგავსი თვალები,
კოტა ველურათ, ლაღათ აქოჩვილი-აბუ-
ძღული თმა უნებლიეთ მიზიდავდა და მე-
უბნებოდა:

— გინდა გამიცნო? გინდა შეიტყო ვინა
ვარ?..

მე ლუკა ვარ! ლუკა რაზიკაშვილი!
მომავალი სიამაყე მთისა და განძი ბა-
რისა ვაჟა, ვაჟა ფშაველაო!..

ბაღში აგებული, ეს ორ სართულიანი
ქვეტკირის შენობა გორის საოსტატო სე-
მინარია იყო. და მის ეზოში შეგროვილი
პატარა ბიჭები ჩვენ სემინარიის მომავა-
ლი შევირდები ვიყავით. ღვდელი იყო
ვაჟას მამა და პატარა ჩარგვალბული
„თუშის“ კი ჩვენი სიამაყე, ჩვენი ნიჭი-
ერი მგოსანი ვაჟა იყო.

ის მაშინ სუ 16—17 წლისა თუ იქნე-
ბოდა და მეც სწორეთ იმის ხნისა ვიყავი.
გათავდა გამოცდა. ბევრი მიგვიღეს.

ბევრი თვალზე კრემლიანი უკანვე გა-
მოაბრუნეს.

მიღებულთა რიცხვში ვიყავით სხვათა-
შორის მეც და ლუკა რაზიკაშვილიც (ვაჟა).
ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.
ერთი წლის შემდეგ სახელმწიფო ხარჯ-
ზე მიგვიღეს და ამით თითქმის სრული
უზრუნველყოფილი გაგვხადეს. რაღა გვა-
წყუბებდა. ყველაფერი მზათ გვეძლეოდა
ოღონდ ჩვენ ხელი გაგვეძრია და გვეს-
წავლა.

გულმოდინეთ შევეუდექით სწავლას.
საოსტატო სემინარია გორში ერთი
წლით აღრე გახსნილი იყო. ის სულ ახ-
ლი ტიპის სასწავლებელი იყო ჩვენში და
ბევრისათვის მისი უკლებები და პროგრ-
მა საიდუმლოდ შეადგენდა.

ჩვენ არ ვიცოდით, რა უფლებას ამ-
ღვებდა ეს სასწავლებელი. ჩვენ გვეგონა,
რომ აქ კურსდამთავრების შემდეგ—შე-
გვეძლო უმაღლეს სასწავლებელში წასე-
ლა და სწავლის განგრძობა.

სიტყვა „სემინარია“ შევყავდით ამ-
გვარ შეცდომაში და დიდხანს ამ შემ-
დარი წარმოდგენით ვიკვებებოდით.

ოთხ წელიწადს ვიყავი ვაჟასთან ერთად,
ერთ სასწავლებელში, ერთ სადგომში და
ერთი და იგივე სახელმწიფო პური ვი-
კვებებოდით.

ამგვარ მდგომარეობის გარდა, შემდეგ-
ში, ქართული ენისა და მწერლობის სი-
ყვარულობა, მისმა ტრფილებამ და მისწრა-
ფებამ ჩვენ კიდევ უფრო დაგვაახლოვა.

მახსოვს იმ დროს არაფერი საყმაწვილო
ეურნალი არ გამოდიოდა. პატივცემული
ანთიმოზ ჯუღელი სცემდა თფილისში სა-
ყმაწვილო წიგნებს და სახელად „წყარო“
ეწოდებოდა. გამოვიდა რამდენიმე ნუმე-
რი. დიდხანს არც იმას უცოცხლია, მაგ-
რამ ჩვენც, როგორც მომავალს მასწავ-
ლებლებს საყმაწვილო ლიტერატურა გვა-
ინტერესებდა და წყაროსათვის წერილებს
ვამზადებდით. სხვებიც აქ ათავსებდნენ
საყმაწვილო მოხრობებს, ლექსებსა და
სხვებს.

პირველი ჩემი საყმაწვილო მოთხრობა
„ჩიტის ბუდე“, შემდეგში სხვა სათაურით

„ჯეჯილში“ დაბეჭდილი წაუკითხე ვა-
ქას და გასწორება ვსთხოვე.

ლუკამ დიდის სიამოვნებით მომისმინა,
ზოგიერთი ფრაზა შეამოკლა, ზოგიც
სულ ამოშალა და შრომა დამილოცა.
მხოლოდ მიჩნია, რომ გრძელი ფრაზები
არ მესმარა წერის დროს და მოკლე ფრა-
ზებით მეწერა.

მე ვგრძნობდი, რომ ვაქას კალამი ჩემ-
ზე უფრო ემარჯვებოდა და ამგვარი მისი
ჩრევა ჩემთვის კანონი იყო, შეუცვლელად
ვასრულებდი და ამგვარად, რაც დრო
მიდიოდა ისე ჩვენი მეგობრობა უფრო
მკიდრობოდა გულწრფელად იკვანძებოდა.

ამ დროს ლუკა ლექსებს უფრო სწერდა
და გვიკითხავდა.

ჩვენი ამგვარი მოქმედება სემინარიაში
იმ დროს მიუბაძავად არ დარჩენილა.

თიქმის ყველამ დაიწყო მუშაობა:

მახსოვს ამ დროს ალ. ნათაძემ გადა-
თარგმნა პედაგოგიური წერილები ბიო-
მესი. მე ვთარგმნე ქიმიკა—ბოსკოსი, და
მიწა, წყალი და ჰაერი—პიტარა ფიზიკურ
გეოგრაფია.

ბატ. ეგნატე სულაკოვა (შთამომავლო-
ბით რუსმა და შემდეგში სახალხო უკო-
ლების ინსპექტორმა) გადათარგმნა ქარ-
თულათ თითქმის მთელი გოგოლის თხზუ-
ლება.

ამგვარად ვაქას გავლენა ნაყოფიერი და
სასარგებლო შექნა, როგორც პირადათ
ჩემთვის, ისე სემინარიის ბევრს მაშინდელ
შეგირდებისათვის.

შემდეგში ქართული ხელთნაწერი ჟურ-
ნალი „რიჭაჟი“ დაეარსეთ და უფრო
გულმოდგინეთ მოესდგეთ შრომას და
მოღვაწეობას.

ამ ჟურნალის შესახებ თითქმის ყველა-
ფერი სთქვა ალ. ნათაძემ და მე აქ მეტს
არას ვამბობ*).

ვაქას, როგორც მომავალს მწერალს,
ყველა პატივს ვსცემდით—ვითაყვანებო-
დით. მაგრამ ვაჟა, როგორც ამხანაგი კი-
დეგ უფრო პატივსაცემი და საყვარელი
აღამიანი იყო.

მისი ცოცხალი, მუდამ მოძრავი, მომ-
ქმედი არსება უნებლიეთ გიზიდავდათ.

ვაჟა სულ სხვა ვაჟა იყო სემინარიაში,
და ვაჟა სულ სხვა იყო ცხოვრებაში გა-
მოსვლის შემდეგ მხუთე თუ მძევქვე წელს
თფილისში რომ ვნახე.

უმაღლურ ცხოვრებას მისთვის თვალ
საჩინო დალი დავსვა.

საღლა იყო ის ხაშხაშა სუქანი, სი-
ცოცხლით სავსე პირისსახე, ტანის მო-
ყვანილობა და ვაჟაკური შეხედულობა,
რომელიც მეტრს თავზარსა სცემდა და
მოყვარეს სიამოვნებით ავებდა?!

ლუკა რაზიკაშვილის ლანდილა დარ-
ჩენილიყო და რომ ვნახე სიამოვნებაზე
უფრო მეტი უსიამოვნება ვიგრძენ.

ლუკას სემინარიაში ყველა პატივსა
სცემდა.

ყველასთან მოღიბარი, დროზე ოხუნ-
ჯი, დროზე კი ქკუით სავსე იყო.
ამხანაგებსაც მისი არც ხუმრობა არც
რაიმე ოხუნჯობა და სიმხვილე არ
გმწყენდა.

ყველას გვიყარდა და უიმისობა ყვე-
ლან საგრძნობელი იყო.

ლუკა, როგორც ლიტერატურაში, ისე
სემინარიაშიაც გონებით და ფიზიკურ
ძალ-ღონითაც ლომი იყო. ამ მხრივ

* იხილეთ სახა. ფურცელი № 282—1915 წ.

მისი ყველას გვემინარა, ყველას გველო-
ნდა, გვერეოდა.

ლუკასაც უყვარდა და ლომისი ვაჩუქე-
შობა და ერთ დროს მას ლონიერ ფა-

ლავანდის სახელი ჰქონდა გავარდნილი.

ლუკას სემინარიაში უყვარდა წიგნე-
ბის კითხვა. არ დარჩენია იქაურ მაშინ-
დელ წიგნთ-საცავში წიგნი, რომ ვაქას
არ წაეკითხოს. წიგნების კითხვის შემ-
დეგ უყვარდა თევზაობა და ლეკურის
თამაში. ლუკას და ალექ. ჩახნაშვილის
ლეკური სემინარიაში ყველას გვახსოვს
და თავის კომიზმით ღრმათ არის ჩვეში
ჩაბეჭდილი.

თუ რაიმე ახალი წიგნი გამოვიდოდა
ქართულ ან რუსულ ენაზე, ამას ვაქას
ხელში ვნახავდით.

ყოველ ახალს მოძრაობას ლიტერატურ-
რაში ვაქასაგან შევიტყობდით ხოლმე.

ვაჟა, როგორც მწერალი კი ხანს შე-
უმჩნეველი იყო, განსაკუთრებით იმე-
რეთში.

ვაქას პაეზია პირველად დიდმა ილი-
ამ იცნო და დააფასა. შემდეგ თან და-
თან ყველამ გაიცნო და ჩვენს მწერლო-
ბაში პირველი ადგილი მიანიჭა.

დადგა მისი სიამოვნების დრო, მისი
ნიჭი და შრომის დაფასებით დამტკა-
რიყო, რომ, სწორეთ, ამ დროს მოუ-
სწრო ულმობელმა სიკვდილმა ძიმწარეთ
უქცია, ვაქას სიცოცხლე მოუსპო და
მთელი საქართველო შავ სამგლოვიარო
ძაძებში გაახვია.

თეოფ. ხუხუცავაძე.

პ რ ე ს ა.

ქართული პრესა ვაჟაფშაველას გარ-
დაცვალებას საერთო გლოვით შეხვდა.

„საქართველოში“ მგოსანი სანდრო
შანშიაშვილი სწერს:

უკანასკნელ ხანებში სავი დიდი ბუმბუ-
რაში გარდაიცვალა. ჩვენმა ბუმბურაზმა
ბუნება-სამშობლო ივინი წარმოშვა და მანვე
ჩაახუტა გულში: ერთი შუბლ-განგმირული
ხეუნთა უგუნურთაგან და ორნი—უგულმართ
და უმადურ ცხოვრებისგან განაწამესნი. ხო-
ლო მათი სული—ეს სიდიადე იყერიყეთა—
თვისის უგულავებით ქართველის სულს ჩაე-
მარხა.

უღმბებლმა ბუმბა თითქოს განსაკუთ-
რებით ჩვენთვის მოიგვალა! ჯერ კიდევ ცრემ-
ლი არ შეგვშრობია, ჯერ კიდევ აუტანელი
წამება არ გადაგვიტანია, ჯერ არც კი
გამშრალა მიწა აკაკის სოფლავს მიყრილი,
რომ დათაღხულ სამშობლოს ისევ უნდა
ემტნოს გულსაკლავი ამბავი:

ალარ გვყავს ვაჟა ფშაველა!

ტანჯვას კიდევ რომელი ტანჯვა უნდა
მიუმატო ჩემო ობოლო მამულე?

როდის მოეღება ბოლო ჩვენს სევდას,
მწუხარებას და გულის ტკივილს?

**დიდ ტანჯვას დიდი სიხარული
უნდა მოჰყვას!**

დიად, უნდა მოჰყვას!

მთის არწივი ვაჟა და ახალ ვაჟაკურ
წახვთა მოციქული გარდაიცვალა. მას, რთ-
გორც სორცაქელ ანსუას, ვეღარ ვნახავთ.
ვეღარ მოვისმენთ მის გამწრავს სუხასანს.
ვეღარ შევიგრძნობთ მის რანდულს ჩანგის
ფერას!

ვინ დაიტრინს ვაჟა-ფშაველა? ნუთუ
აწიოკებულმა და დამძუღლმა საქართველომ?
ნუთუ ნიადაგებით წაღუკილმა და ახრე-
ბულმა კალხეთმა? ნუთუ მრავალ-მხრით



მტერთაგან მოხდეს უფრო მეტი იგვი-
რგვინი და მგლოვანე ასუღმა? ნუთუ იმ
ოჯახში, რომელთა შვილები სიღატაკს
და, ბრძოლის ველზე დაჭრილან, სისხლი
ჩამოსდის და მწარედ უძახიან ავიანთ
მშობლებს:

„დედა, გვიშველო?“

რატომ არ უნდა ბრწყინავდეს თამარ-
მეფის ტახტი ძლიერი, რომ სიღატაკე-
თაზე არ წარსდგა მისი რანდი მკაცრი
ვაჟი, არ წარუდგინა ბუჩქი შაინი და თა-
მარნიც არ უთხრა: ხარ და იქნები სიღვი-
შილოდ მუდამ სწავლა, სხვადა ქსოვილი
განახლების განთავსება!

ვაჟო! სუფარელო მკაცრი, ვაჟო! ისე
დაგვიშორდა მტრეჭელის ენით, რომ ვეღარ
განხეთ უკანასკნელად, რათა გეთქვა შენი
ანდერძი; რა ვქნათ?

როგორ მოვიქცეთ? რა ვუთხრათ და რა-
გორ ვუშველოთ ამ შავნელ დროს მგლო-
ვანზე სამშობლოს?

შენ ჩვენ მოგწვევით შენს სუფარულს
მთებს, შენი სიღატაკე მუდამ ხარ და
ხარ მძაფრ ბუნებას, და უხარბილად შენი-
ბის თხილავდეს, რომ დაჭრილთა ში-
რის, უმეტესად მანქანებთან ზრუნ-
ვის მოკლებულმა, როგორც ტყეში მომ-
წყვდულმა ზღვიანმა, ან ვით უთვისტომო
განდევალმა, მშვიდად განუტყვევ სული და
ვეღარ გვითხრა: მშვიდობით!
სოფლად ვინ იყო დიდებული, რომ სიღ-
ატაკეში,

თანამედროვეთ შესაფერად დაწვინდეს?
შე შენს უდროოდ დაკარგვას ვიბო, თუ-
მცა შენი ვაჟატყურო ზნევი მამულს: დიდ
კაცს არ უნდა დატყურო, მაგრამ გრძობა-
ბას ვერ ვამარტობ, ჩვენსვე სულში აღმარ-
თულ ტაძარს რანდის სიღვილი ძეგლი
დაქმნის, დაეკარგე მეგობარი და ჩვენი
სულის თვისტომი შესაძლებელი.

შენის სიღვილიანს გამოწვევებს შე ჩემს
ობლობას მოსთქვამ, თორემ განა ჩვენმა
სუფარულმა ერმა შენი თავი უნდა იგლო-
ვოს?

შე მოსთქვამ იმ ნაღველს, რომ შენ სუ-

ღვირის არსებით შექმენ უფლაო სხეულები,
ამაჟმა შენმა ჩანგმა და ვაჟატყურომა შენმა
სიმღერამ თანამედროვეთა მიღწებულ სულ-
ში აღმარდა ზნისადი გრძობა, ზნისადი
მამულიშვილობა, და ამ დროს შენი მეორე
ხორციელი არსება გვტყუებს უდროოდ!
რამდენიმე დღეც და შენს ნუშტსაც ვეღარ
განახეთ!

აი, მიზეზი ჩემის მწუხარებისა, ჩემის
ტრემისა, თორემ განა ჩვენმა სუფარულმა
ერმა შენი თავი უნდა იგლოვოს?!

შე მოსთქვამ იმ სეგვას, რომ ასეთს
არეულს და გამოურვევედ დროს
სულში თამარის ჩანგით

საქართველოს სახლ-

გაზრდებს ვეღარ
გაკვიდვები, გზას ვეღარ გავიკვლე და
ვეღარც მტერთ შეუ-

ვივლებ: კმარა, რაც გეტყვი! აი, რას
მოსთქვამ, სწუგველო მკაცრი! თორემ
განა ჩვენმა სუფარულმა ერმა შენი თავი
უნდა იგლოვოს?

სანდრო შანშიაშვილი.

„სახალხო ფურცელი“ მეთაურში
აპობს:

ჩვენს ისედაც ნაწამებს და ბედისგან მუ-
დამ დევნილ ერს კიდევ ასედა უბედურებას,
ასედა განსაცდელი დასტუდა თავს—გარ-
დაიცვალა ჩვენი დროის ერთი უდიდესი
პოეტისგან, უძლიერესი ნიჭის პატრონი,
უსუბიექტის შემოქმედებით დაწვინდეს უფრო
ვაჟა-ფშაველა. გარდაიცვალა და მისი
სიკვდილი მოულოდნელი იყო მშობელი
ერისთვის. მართალია, იგი ავად იყო, მა-
გრამ უკანასკნელ დღეების უფლებანი დაწვინ-
ნებულნი ვაჟავეთ, რომ ძვარფარს აღმარის
ჟანმრთელობას არავითარა საფრთხე არ
მოელოდა, რომ აღნაგად წელში მისწვლილი
მალე გამართებოდა, გამოვიდა ფრთებს და
ისევე ვით არწივი დაუფრიადა სუფარულ
მთებს და ძლიერ სიტყვას ისარსავით სტორო-
ცნიდა მამულის მტრებს.

მაგრამ თითქმის ჯერ მთლად დაცლილი
არ არის ჩვენი სიღვირის ფაფა და უმო-
წყალო ბელმა ხელადან უდროოდ გამოგუ-

გლიჯა ბუმბერაზი აღმარის, რომელსაც
დრამა სიუჟეტით და სისრებით შექვე-
რებდა მთელი საქართველო ილიას და აკა-
კის გარდაცვალების შემდეგ. გარდაიცვალა
დაბლდა სამშობლო და სამუდამოდ მოგუ-
შორდა ის, ვინც ემსწავლურის გულით
შეგზავნა თავის ერის უკეთეს მომავალს,
კაჟა-ფშაველა, აღმარის ჩვენი არწივი,
რომლის უფლაო ექვსი სამშობლოს თავ-
განწირულს რანდებს უმღეროდა და სამ-
შობლოს ბუნების სიღვილი და სიმშვენიე-
რის შეგავსებდა.

გარდაიცვალა ვაჟა ფშაველა და მთელი
ერი, როგორც ერთი აღმარისი, მოწიწებით
თყუანს სტუმს მის წმინდა ნუშის და ასევე
მოულოდნელს განსაცდელში მიახვედრეს
ასედა ძალას და სიმტკიცეს ეროვნული
აღმარებისა და აღმარისთვის..

ვაჟა შანსაშვილი დღეები.

ავთომყოფობის უკანასკნელ ხანს ჩვენს
მგოსანს ვაჟას თითქმის გამობრუნება და-
ეტყუა, მაგრამ ეს გამობრუნება მხოლოდ
ზოგიერთ მის ნაცნობს აღუძრავდა იმედს
სრულიად განკურნებისას. ექიმების სიტ-
ყვით, ვაჟა მეტად მიძვიდ იყო ავად.

გაზრდებში ნაკლებ თავსდებოდა ავად
მყოფობის ცნობა იმ მოსაზრებით, რომ
თვით მგოსანის ყურამდე ამავს არ მიეღ-
წა და ავადმყოფზე ცუდა გავლენა არ
მოეხდინა.

თვით მგოსანი დაეინებით მოითხოვდა:
„კაცო, ნუ მკლავთ ამ ოხხვედელს, შე-
გამისტურებ ჩემს მთებისკენ, იქაური
პაირო მარტებო, აქ სული მესუთებაო!
პაპანაქება მომიდობო!“

მაგრამ მის გამგზავრებას ყოვლად შე-
უძლებლად სცნობდნენ, რადგან მეტის
მეტად დასუსტებულსა და დაზიანებულს
გზაში ხიფათი ათ ასცდებო.

ვინ იცის, იქნებ მგოსანს გული უ-
ხარობდა, და, მართლა, სიკვდილს.. მთები
გადაანარჩუნებდნენ. ეს არავინ იცის!

ხშირად უნატრია: ნეტა ისე ნუ მო-
კვდები, რომ ამ ომის შედეგს არ მოგვსუ-

რომ. უეჭველად უნდა ჩვენი სამშობლო-
სათვის რამე მოხდეს... არ შეიძლება წი-
ამისოთ... არა, ძნაო, არა!
28 მკათათვეს, დილით, კანკათ უფო-
ლა; გონება მახვლი ჰქონია. ნაშუადღე-
ვისას უკითხნია, რამდენი საათიაო. სამი
ყოფილა. ვაჟას უთქვამს:

— „უშ, კიდევ რამდენი მიცოცხლია.
ისევ არავინ მოდის, რომ რამე უთხრა.
გაბრაზებულა, ბალიშები გადმოუყრია
და სათნოების დაც გარეთ დაუთხოვია.
რამდენიმე ხნის შემდეგ მეტად შეწუ-
ხებულა და, როგორც ამბობენ, ვაჟა-ფშა-
ველას თვითონ მიუწერია წერილი მეფე-
ბადის მოსატანათ...“

საღამოს ექვს საათზე 27 კვირიკობის-
თვეს გონება დაკარგვია. ექიმების მი-
სვლისას უკვე სიკვდილს ებრძოდა, სიტ-
ყვას ვეღარ სძრავდა. გარდაცვილია ისე,
რომ გულხელი ვერავის დაუტრფინებია
და ვერც თვლები დაუხუჭვინებია.

საღამოს რვა საათზე ელვის სისწრა-
ფით მოედო თბილისში ვაჟა-ფშაველას
გარდაცვალების ამბავი. ყოველ ქართვე-
ლის სახეზე ღრმა მწუხარება იხატებოდა.

ვაჟა-ფშაველა

(ლუკა რაზიკაშვილი)
(მოკლე ბიოგრაფიული ცნობა)

გენიოსი პოეტი ვაჟა ფშაველა დაიბადა
1861 წელს ფშავეთში, სოფელ ჩარვა უს.
მამა-აბამე, ეხლა ის 54 წლისა იყო. მშო-
ბლები პოეტისა ღარიბი ხალხი იყვნენ. მისი
მამა, პავლე რაზიკაშვილი, პირველად
უბრალო სოფლის მედავიანე იყო და
შემდეგ მღვდლის ხარისხამდე ავიდა. თა-
ვისი ვაჟი, პატარა ლუკა, მამამ სასული-
ერო სასწავლებელში მისცა, მაგრამ ბავშვა
იქ სწავლა არ ისურვა; მეორე თუ მესამე
კლასიდან გავიდა და გორის საოსტატო
სემინარიაში შევიდა სწავლის მისაღებად;
სემინარიაში სწავლის დამთავრების შემ-
დეგ, იგი ცოტა ხანს მასწავლებლად იყო
თავის სამშობლო სოფელ ჩარვალში.

**1870—1781 ♡
პარიზის ალყა.
უთაბაჯილიშაანი და მოგონებანი
ფრონტისა სარხისი.
(შემდეგი ის. სამშ. 139-ე №)**

ქალაქის დასაცველათ კიდევ, რომ გა-
მაგრებული იყოს მისი კედლები, მარტო
ერთი პატრიოტიზმი არა კმარა.

საქიროა ჯარის კაცნი. და ისენი კი
არ ჩნდნენ. მაკ-მაგონი განადგურებული
იყო, ბაზენი მომწყვდელი. რაღა რჩე-
ბოდა პასიზისათვის? საფრანგეთის განკა-
რგულებებში იყო მხოლოდ 325 ათასი კა-
ცი. ის 325 ათასი უკანასკნელი პუბლი-
ცისტებისა, რომელმაც დაანახეს ბისმარკს
ჩვენი გაუსწორებელი სისუსტე. იმ დროს,
როდესაც ამ სტრიქონებს ვსწერ, ყველა
ეს საბრალონი გერმანიაში იმყოფებიან.

მეცის არმიაც იძულებული იყო კაპი-
ტულიაციაზე:

საიდან მოვიყვანოთ ჯარის კაცები. სა-
ბედნიერათ ვინუამ ჩამოიყვანა პარიზში
მთელი ჯარი, რომელმაც სედანის უღე-
ტას თავი დააღწია და ისე მშვენიერათ
შეასრულა უკან დახევა, რომ თვით პრუ-
სიელებიც ვაკვირებებში შეიყვანა. მაგრამ
ამ ჯარზე სრულიად დანდობა შეუძლებე-

ლი იყო, რადგან ერთი, რომ ისენი არ
იყვნენ ძველი ჯარის კაცნი, ის საუკეთე-
სო ნაწილი ჩვენი არმიისა, რომელიც ბა-
ზენის განკარგულებაში იმყოფებოდა. მე-
ორეთ მათ ეტყობოდათ დიდი დემო-
რალიზაცია ამდენი დარცხების შო-
რიდან ცქერით. იმათმა განიცადეს გულ
შესაზარი შაბანქილიშაანი და თანვე ჩა-
იტანეს ასეთი სულიერი განცდა. ყველა-
ზე უარესი ის იყო, რომ მათ არავითარი
ნდობა არ ჰქონდათ არც თავის უფრო-
სებისა და არც თავისი იარაღის.

— არც ღირს ბრძოლის დაწყება, ისი-
ნი გაცილებით ჩვენზე ძლიერია. ამბობ-
დნენ ჯარის კაცნი. ყოველ კუთხიდან მო-
რბოდნენ პარიზში სედანიდან გამოქვე-
ლნი. მათ ჩამოიტანეს უღრპესი ზიზღი ამ
ომისადმი, რომლითაც დასთესეს მცხოვრე-
ბთა შორის შიში და სულმოკლეობა.


ფრანგებში არსებობს გაბედული ლტო-
ლვა და არა სიმტკიცე ხასიათისა. ყოვე-
ლი დამარცხება და უკან დახევა ამხსნევს
ფრანგში ყოველს სულიერ ძალას და, აი
ამ ჯარის კაცებმაც ხომ განცადეს უმა-
გალითო სისწრაფით იშვიათი დამარ-
ცხება, რომელმაც კი უამბნია ისტორიის.
როგორ შეეძლოთ მათ ხელ ახალი
ბრძოლის დაწყება! თუმცა მთელი კომ-

პანიას დროს უმეორებდნენ მათ „ტიმს“-ის
სიტყვებს: „თქვენ ლომები ხართ, მაგრამ
ვირები წინამძღომლობენ“. ბრალი, რომ
თვით ლომებმაც დაკარგეს თავიანთი ფა-
ფრები. ყოველ შემთხვევაში ამ კრიტიკულ
მომენტში, მათგან სიგმირე მოსალოდნე-
ლი არ იყო.

დააჩქარეს მებლკაურების გამოგზავნა
პარიზში ჩვენი პროტესტებიდან, მაგრამ
ბევრი არც ისინი იყვნენ: ზოგი ამყათ
დასცურავდნენ უსარგებლო ფლოტზე ბა-
ლტიის ზღვაში, ზოგი თავისი უმაგალი-
თო ბრძოლით აკუწეს სედანში, დანარ-
ჩენი ჩამოვიდა. ესენი იყვნენ მშვენიერი
ჯარის კაცნი, რომელნიც პარიზში ცო-
ტას ხმაურობდნენ და ბევრს აკეთებდნენ.
ჩამოსვლის თანავე ისინი გაანაწილეს სხვა
და სხვა სიმაგრებში. ეგულიანული ჯარი
გაწყვეტილი იყო და იძულებული ვიყა-
ვით დავნდობოდით მობილებს, რომელიც
შეგაროვა მარშალმა ნიელმა და რომელ-
საც მოხდენილათ დასცინოდა პალატაში
მისი მოადგილე მარშალი ლე-ბევი.

ასე თუ ისე, ამ ამოძღვრებული მობი-
ლებს უნდა დაეცვათ პარიზი, რომელ-
ნიც მარშალმა მაკ-მაგონმა მათი უდის-
სიბლინობის გამო მოიცოდა თავიდან და
გამოგზავნა პარიზში. ისინი დააბანაკეს

სენ-მორში, მაგრამ აქაც არ იქცეოდნენ
წესიერათ. ბოლოს მათ მისცეს ნება ამოერ
ჩაათ თავიანთი აფიცრები და ცოტათ თუ
ბევრათ დამწვიდნენ და შეისწავლეს სამ-
ხედრო საქმე. პროვინციელი მობილები
უფრო მეტ ნდობას იწვევდნენ, არა იმი-
ტომ, რომ ისინი იარაღში გაწაფული
იყვნენ, ძრიელ ცოტა მათგანმა იცოდა
თოფის ხმარება. მაგრამ მათი პატროსანი
ძლიერი და მშვიდი სახე გვალაპარაკებდა
რომ, თუ შეიძლებდნენ მათ ხელმძღვანელო-
ბას, ბევრის გაკეთება შეიძლებოდა. გე-
ნერალმა ტროშიუმ შთამომავლობით ბრე-
ტონელმა მოიწვია ბრეტონის მობილე-
ბი; ამ ხმაზე ისინი, როგორც ერთი კაცი,
ფეხზე დადგა. საბრალო ბიჭები! ჰო, რომ
გორ ნათლათ ვხედავ მათ ამ წუთს თა-
ვისი გრძელი თმებით, დიდი რვაგლი
ქულებით და მოგზოო სახით, როცა ისი-
ნი ჩამოვადნენ საღამოს პარიზში კოკის-
პირულ წვიმის დროს. მათი უპრავლე-
ლობა არ ლაპარაკობდა ფრანგულს, რომ-
ლის გამოც მათთან საუბარი არ ხერხდე-
ბოდა. მიიღეს, თუ არა თავიანთი კვიტან-
ცია, ისინი მიდიოდნენ მათთვის სრულიად
უცნობ ქუჩებით—მშვიდათ, ოდნავ შე-
წუხებული, სერიოზული სახით და სრუ-
ლიად არ აქცევდნენ ყურადღებას იმ ნია-



შემდეგ იგი წავიდა პეტროგრადს და იქაურს უნივერსიტეტში ისმენდა გამოჩენილ პროფესორთა ლექციებს. მაგრამ სიღარიბე კვლავდაკვალ სდევდა დიდებულ ნიჭის პატრონს და იგი იძულებული გახდა სამშობლოში დაბრუნებულიყო. აქ იგი მცირე ხანს მასწავლებლად იყო ქ. შ. წ. ქ. გამაგრებულ საზოგადოების სკოლაში ს. თონეთს, მაგრამ ამ ხელობას ჩქარა დაანება თავი და სამუდამოდ დასახლდა სოფელში, სადაც სოფელ ს მეურნეობას მიჰყუ ხელი და თავისი მეზობლების პირ-ვარამს იზარებდა. თბილისში ის იშვიათად ჩამოდიოდა და რამდენიმე დღის შემდეგ ისევ გაეშურებოდა ხოლმე თავის საყვარელ მთებში. პოეტი თუმცა ძალიან მაგარი აგებულობის კაცი იყო და იშვიათად ავადმყოფობდა, მაგრამ წარსულ ზამთარს განუკურნებელი სენმა — წყალ-მანკა — მაგრად ჩასჭადა ხელი. აღდგომის წინა დღეებში თბილისის ჩამოვიდა პოეტი სექიმოდ. აქ საუკეთესო ექიმები სწამლობდნენ მას, ოპერაციაც კი გაუკეთეს მარცხენა მკერდით და წყალი გამოუშვეს, მაგრამ უღიმღამო სიკვდილმა თავისი არ დაიშალა და 27 ივლისს, საღამოს 6 1/2 საათზე, მოსწყვიტა იგი ისედაც დამწუხრებულ სამშობლო ქვეყანას და წუთისოფელს გამოასალმა. განსვენებულს დარჩა წვრილი ცოლ-შვილი, რომელნიც სოფლად სცხოვრობენ.

მწერლობას ჯერ კიდევ მაშინ მოჰკიდა ხელი ვაჟამ, როცა ის 16—17 წლის იყო და სკოლაში სწავლობდა. იმან ადრე გაითქვა სახელი, როგორც სახალხო პოეტი. ამ ეპოქა მისი სახელი მოფენილია საქართველოს კიდით-კიდემდე, ისე, როგორც სახელი ილიასი და აკაკია. ვაჟა მუდამ უკვდავი დარჩება, სანამ კაცობრიობა სცოცხლობს, მაგრამ იმისი გარდაცვალება, და ისიც ამ ეპოქა, თავზარს დასცემს ყველა ქართველს.

გუშინ დილით მიკვალვებულ ვაჟა ფშაფლას გვამი გადასვენებულ იქნა ქვაშვეთის ტაძარში. დასაფლავების აღდგომა და

ღვარს, რომელსაც ცა მათ თავზე აქცევდა. ბრეტანების შემდეგ ჩამოვიდა ბერძენი მონღოლები, ზენობურკუნდილები, შამპანელები და სხვა. თითოეული დებარტაჟნიტიდან ჩამოსულთ ჩამოქონდა თავისი სახით და თავის მანერებით თავიანთი პროვინციის დამახასიათებელი ნიშნები. მე დავბინავე ჩემს სახლში, რამდენიმე ბრეტონელი. ყველანი ჩაფიქრებული, დაკვირვებული და ენერგიული ხალხი იყო მათ ტლანქ სახეზე წაიკითხავდი ძალას, რომელსაც ისინი კრფდნენ თავის კლდიან ნიადაგიდან და ფიქრ აზროვნების ჩვეულებას, რომელსაც ანვითარებს მუდმივი დაკვირვება უსახლგრო ზღვის სიერცისა.

სულ სხვანაირი იყვნენ ბურგონდიელები. ვარდის ფერი, მზიარული და მიმზიდველი სახე, ხმოვანი მეტყველობა, ამაყი მიმოხვრა, გასაკვირი ფანტაზია და ძლიერი პატრიოტული აღმაფრენა. მე ვიცნობდი ზოგიერთ მათგანს და ვსტუმროდი მათი საუბრით.

ორი კვირის შემდეგ ეგ მზიარული ბურგონდიელები მომქმედ ჯარში იყვნენ და იბრძოდნენ იმავე ძლიერად, ამაყი გულით, როგორც თავი ჩამოვიდნენ. მობილგების რიცხვი 70 ათასი კაცი იყო. ეროვნული

წეს-რიგს ხვალ შევატყობინებთ ქართველ საზოგადოებას.

გუშინ, დილით, ქ. შ. წ. ქ. გ. საზოგადოების გამგეობამ საქართველოს სხვა და სხვა კუთხეს დებეშით აცნობა თავზარდამცემი ამბავი.

სამგლოვიარო დავებები და ჟიკრილები.

ქუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება უღრმეს მწუხარებას გამოისტვენს მთის არწივის, ვაჟა ფშაველას დაკარგვის გამო.

მოკვდა ვაჟა ფშაველა! ჩვენმა ბედკრულმა ქვეყანამ მოულოდნელად დაკარგა დიდი ზეგარდმო ნიჭით ცნებული მგოსანი... დაღუპდნენ სამუდამოდ ბაგენი მთის არწივისა... აღარ გვყავს ის ქურუმი პოეზიისა რომლის კალამიც შეძინა ქართულ ლიტერატურას მრავალი იშვიათი ხელოვნებით დაწერილი ნაწარმოები...

ეს გულ-საკლავი ამბავი, ექვი არ არის, გამოიწვივს ყოველ ქართველის გულში ერთი აუწერელ მწუხარებას.

ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის, დაღონებული ასეთი დანაკლისით, მოწიწებით ქედს იხრის ძვირფასი ნეშტის წინაშე და თავის თანაგრძობას უერთებს მთელი ერის ღალადისს.

ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის თავჯდომარე
ალ. ალ. გაჩეჩავანიშვილი.

ო შ ი

(პეტ. დებ. სააგენტოსაგან) **აღმოსავლეთის ასპარაზი.**

პეტროგრადი. 28 ივლისი. ოფიციალური. მთავარ სარდლის შტაბისაგან. როგორც მიღებული ცნობებიდან სჩანს, გერმანელების მიერ მოტანილი იერიში კოვანოზე 26 ივლისს შემდეგ ნაირათ

გვარდია ორგანიზაციულს ძალას არ წარმოადგენდა, რადგან დაცემულს მთავრობას ყოველთვის ეშინოდა მისი, „ეს იყო მთავრობის წინააღმდეგ შეიარაღებული ერი“. და მთავრობა ზღუდავდა მას ყოველი მხრით. აფიცრებთ ეროვნულ გვარდიაში შედიოდნენ მხოლოდ პატრიოტული რენი, ლამაზი ფორმისათვის და ოფიციალურ დღესასწაულში მიწვევისათვის, სამსახურს კი მათი უმრავლესობა გაურბოდა.

მტერი ახლოვდებოდა, ყველა მიხვდა, რომ ეროვნულ გვარდიას მონაწილეობა უნდა მიეღო. რამდენიმე ბათალიონი უკვე შესდგა, რომელშიც ათას კაცამდე ჩაეწერნენ: ვაჭრები, ექიმები, ვეპილები და მოხელეები. ისინი შეაგეს რეკრუტებით, ამ ლეგიონებს სახელათ დაერქვა „ძველი ბათალიონი“, — რიცხვით 12000-ს კაცადე. „ახალი ბათალიონი“ შეადგინეს იმ ადგილებში, სადაც წინათ არ იყო ეროვნულ-ეროვნული გვარდია, — ბელგიის, მენილ-მონტანში, ყველგან, სადაც იმპერიის ეშინოდა ეროვნულ გვარდიის ექსცესებისა. „ახალ ბათალიონში 200 კაცამდე ირიცხებოდა.

კატო მიქელაძე.
(შემდეგი იქნება).

სწარმოებდა: მტერმა პირველათ სოფ. ციპლედან ფელიზიტალამდი ჩვენ სიმაგრების ფრონტს ზარბაზნები დაუშინა მდ. ესიაზე. მტერმა ნაშუალავეს გააჩაღა ბრძოლა საალყო ზარბაზნებით, ბრძოლის დროს ხმარობდა ყველა კალიბრის ზარბაზნებს. მტრის გაძლიერებული ცეცხლი სრული ორი საათი გაგრძელდა, რომელსაც ჩვენი ბატარეა უპასუხებდა. ნაშუალავეს სამ საათზე მტრის ხშირი კალიონები იერიშით წამოვადნენ ჩვენი პოზიციებისაკენ. მომარჯვებული ცეცხლით ფუგასების აფეთქებითა და ჩვენი ჯარის ბრწყინვალე კონტრიერიშებით მტერი დილის ექვს საათზე მთელს ფრონტზე უკუქცეულ იქნა. დაუძლიერებულმა გერმანელებმა ხეობაში შეიფარეს თავი, სადაც, როგორც სჩანს ხელახლად შეემზადნენ ახალი შეტევისათვის. 27 ივლისს, ნაშუალავეს მტერმა კვლავ გაძლიერა ძლიერი ცეცხლი. მიუხედავად მტრის ძლიერი იარაღის ინტენსიური მოქმედებისა, ხანგრძლივობისა და გამანადგურებელი ძალისა, ჩვენმა ჯარმა მხნეთ გაღაიტანა სეტყვასავით დაყრილი ცეცხლი. ჩვენი არტილერია ბრწყინვალეთ იფარავდა თავის გმირებს. ასე გაიარა მთელმა დღემ. დაბინდებისას მტრის შეჯგუფებული კალიონები ხელახლა წამოვიდნენ იერიშით ჩვენი პოზიციებისკენ. უკანასკნელი იერიში გაგრძელდა 2 საათი. ამ ბრძოლის დროს მტერმა შესძლო ჩვენს მოწინავე პოზიციებზე თხრილების ხელში ჩაგდება, თუმცა შემდეგ ჩვენი დროით მოსულ რეზერვების ენერგიული შეტევით მტერი იძულებული გახდა უკან დაეხია დიდი ზარალით. მტრის ხელში დარჩა მხოლოდ ის სიმაგრეები, რომელიც სოფ. ციპლესთან არის. ამ სიმაგრეების ხელში ჩაგდება მტრის მხრივ დიდი მხვერპლი შეიწირა.

ბრანტიზის სიტყვა.

სტოკჰოლმი. სოციალისტების ლიდერმა ბრანტიზმა სუნდსბალოში სიტყვა წარმოსთქვა ომის მომხრეთა წინააღმდეგ. იგი შეეხო აქტივისტების მოქმედებას და, სხვათა შორის, სთქვა: დიდ დანაშაულობას სჩადიან აქტივისტები, რომელსაც შვეციის საერთაშორისო ომში ჩაირვეს ცდილობენო.

ჯავშნოსანის დაღუპვა.

ათინა. 27 ივლისს, დილით, ინკლისის წყალქვეშა ნავმა დარდნელში ოსმალეთის ჯავშნოსანი „ხაირედინბარბაროსა“ დაღუპა; კამანდის მცირე ნაწილი გადაარჩა.

სტოკჰოლმი. 28/VII ნარვინკიდან იტუბინებთან, რომ გემ „გოტლანდ“-ის კაპიტანის აზრით, კრეისერ „ინდა“-ს კამანდა, რიცხვით 120 კაცი, დაღუპული უნდა იყოს; ინკლისის ტრალოერმა გადაარჩინა მხოლოდ კრეისერის კაპიტანი და კამანდის 40 კაცამდე.

ვენის გაზეთები იტუბინებთან, რომ რადოსლავოვმა ოთხთა შეთანხმების წინადადებაზე მხოლოდ მაშინ გასცა პასუხი, როცა ოსმალეთ-ბულგარეთის მოლაპარაკება დასრულდაო.

დასავლეთის ასპარაზი.

ლონდონი. 27 ივლისი. ფელდმარშალი ფრენჩი 19 ივლისის თარიღით იტუბინებმა, რომ ორივე მხარედან საარტილერიო ბრძოლა სწარმოებდა იპრის ჩრდი-

ლოეთით, სადაც წარმატება ჩვენს მხარეს იყო. დღეს, დილით, მტერი სრულიად ლერიო წარმატებით ბრძოლის შემდეგ, რომელსაც მარცხენა ფლონგიდან ენერგიულათ ეხმარებოდნენ ფრანგები, გოოქთან, 17 ივლისს მტრისგან დაკავებულ თხრილებზე იერიში მივიტანეთ და ყველა თხრილი უკანვე დავიბრუნეთ. გავავითარეთ რა აქ ბრძოლა, წინ წავიწიეთ გოქის ჩრდილო-დასავლეთით, სადაც ჩვენი ფრონტი გაფაროვებულ იქნა 1800 იარღის სიგრძეზე. ამ ბრძოლის დროს ტყვეთ წამოვიყვანეთ სამი აფიცერი, 124 ჯარისკაცი და ვიხელთეთ ორი ტყვის მფრქვეველი.

იტალიის ასპარაზი.

რომა. 27 ივლისი. ოფიციალური ცნობა მთავარ ბინისა. ზემო კომილიკო კალორში ჩვენი ჯარი მტკიცედ გამაგრდა უდიდეს ქიმზე. კარნაში, სადაც ჩვენი ჯარი იცავდა ფრეტკოფელსა და პალგრადს შუა კაბალოს გასავალს, 25 ივლისს, დილით, იერიში მივიტანეთ ავსტრიელების თხრილებზე და იძულებულ ვყავით მტერი, თხრილები დაეტოვებიათ. მტერი იმავე დღეს, ღამით, შეეცადა წართმეული პოზიციების დაბრუნებას, მაგრამ დიდი ზარალით უკუვაქციეთ. ფლავის მიდამოში ზაგორი-გილერის გზით ჩვენმა ჯარმა ხელა იგლო მტრის რამოდენიმე სანგარი და სამხედრო სურსათი. კარსოში სამხედრო მოქმედება ჩვენ სასარგებლოთ ვითარდება. გუშინ მტერმა განახლა ზარბაზნების დაშენა მონფოლკონში ვერფზე, რასაც შედეგათ ცეცხლის გაჩენა მოჰყვა, ცეცხლი მალე ჩავაქრეთ, მიუხედავად იმისა, რომ მტერი განუწყვეტლივ გვიშენდა ზარბაზნებს.

დაშავებულ ჯარისკაცთა შემსახვა.

ათინა. 28 ივლისი ოფიციალური. ათინის სააგენტო ოფიციალურათ შეიარსა ყოფს იმ ხმებს, რომელიც ტენდენციური მიზნით გაავრცელა სოფიის გაზეთმა „რუტომ“, ვითომც საბერძნეთის მთავრობას გერმანიიდან 300 მილიონის სესხი აეღოს.

სამხედრო უწყებამ მიიღო რა მზრუნველობა იმ ჯარისკაცთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ, რომელნიც ომისაგან დაშავებული არიან, გადაწყვიტა მიანიჭოს ამ პირთ, სამხედრო და სამოქალაქო უწყების სხვადასხვა თანამდებობა. ყველა ამ უწყების ქვემდებარე დაწესებულებაში, როგორც ცენტრალურს, ისე ადგილობრივში დაქრილ-დისახირებულ ჯარის კაცთ მიეცემათ უმდაბლესი თანამდებობანი. აგრეთვე სამხედრო სამანისტროში აღნიშნულია მთელი წყება თანამდებობათა დაქრილებისათვის. ის პირნი, რომელთაც აქვთ რომელიმე ცოდნის ცნება და შეეძლებათ უფრო მეტი საპასუხისმგებლო თანამდებობა, დინიშნებიან ურიადნიკებათ და სათემო მწერლებათ. ამასთან ამ უკანასკნელთა მოსამზადებლათ გაიხსნება ცალკე კურსები პეტროგრადში და რადგან მოსალოდნელია, რომ მთავრობის დაწესებულებათა რიცხვი არ იკმარებს. სამხედრო საუწყებო მიმართავს ყველა ქალაქს, ერობათ კოოპერატიულ დაწესებულებათ, ვაჭრობა მრეწველობის და კერძო პირთ თხოვნით, მიანიჭონ მათ განკარგულების ქვეშეყოფ დაწესებულებებში იდგილები ომში დაქრილთ.



სამხედრო სამინისტრომ განმარტება გაუგზავნა სამოქალაქო უწყებებთან უფროსებს, სადაც არსებობს უმადლოესი სასწავლებლები საკონკურსო ვგზამენებისათვის შესახებ იმ ახალგაზრდათა, რომელიც დაბადებული არიან 1896 წ. და ვალდებული არიან სამხედრო ბეგარის მოხდაში.

კანონმდებლობის ძალით მათი ვალის გაგრძელება შეუძლებელია დროის სიმკვირისა გამო.

ყოველ შემთხვევაში ასეთი მათ უნდა მოითხოვონ, როგორც მოწყალემა ხელმწიფე იმპერატორისა.

გერმანიის ს. დ. შორის.

როგორც ვახ. „დენი“ გადმოგვცემს, გაზეთ „Humanite“-ში მოთავსებულია კორესპონდენციები გერმანიის ს. დ. პარტიის შესახებ, რომლებიც მოწმობენ იმას, რომ იქ პრინციპიალური უთანხმოება სულ უფრო და უფრო ღრმავდება და პარტია განხეთქილების წინა სდგას.

ჯერ ისევ 9 ივლისს ერთმა ჯგუფმა მოწოდება გამოუშვა, რომელსაც ხელს აწერდა ორასამდე პარტიული და პროფესიონალური მუშაკი.

მოწოდებაზე ბევრმა პარტიულმა ორგანომ პასუხი მისცა, რომლითაც ორასი ამხანაგი უკმაყოფილო დარჩა და 23 ივლისს ხელახალი საპასუხო მოწოდება გამოუშვა.

აქ ისინი აღნიშნვეს, რომ მათი ცდა, პარტია კვლავ თავის წინანდებურ სასახელო გზაზე გაეყვანათ, პარტიის ოფიციალურ წარმომადგენლებისგან უკუგდებულ იქნა.

ამ ორასი ამხანაგის პროტესტზე და მოთხოვნაზე ოფიციალურმა წარმომადგენლებმა პრესის საშუალებით ვასცეს პასუხი, რაიცა მხოლოდ სრულიად უმნიშვნელო ფრაზებისგან შესდგებოდა. ისინი მხოლოდ პლატონიურ სურვილს აცხადებენ ანტიქრისის წინააღმდეგ, ხოლო მთავრობის საშიშ დაპყრობითი პოლიტიკაზე სჩუმიტა და მოთმენით აძლევენ პასუხს; ისინი თუმცა სიტყვით ზავის მომხრეობას აცხადებენ, მაგრამ იმავე დროს არავითარ აქტივობას არ იჩენენ მშვიდობიანობის დასამყარებლათ და ამასთან ცდილობენ, რომ „შინაური მორიგეობა“ (მთავრობასთან) არ დაირღვეს. ერთი სიტყვით ისინი—პარტიის ოფიციალური წარმომადგენლები—განაგრძობენ იმ პოლიტიკას, რომელიც ისე ხელსაყრელია და სასურველი გერმანიის მთავარ მინისტრისათვის ბეტმან-გოლდვეგისათვის.

„ორასი“ ამხანაგი აცხადებს, რომ ისინი—ოფიციალური წარმომადგენლების მოქმედება-პოლიტიკას, პარტიის დამღუპველათ ცნობდენ და ამიტომ კვლავაც გააკვირებული ენერგიით განაგრძობენ მათ წინააღმდეგ ბრძოლას; მეტწილად შეუძლებლათ მიაჩნიათ, რომ თავის მოწოდებებიდან—მოთხოვნებიდან რა არის ერთი სიტყვაც დათმონ!

ასე მტკიცეთ სდგას გერმანიის ს. დ. მარცხენა ფრთა თავის პოზიციაზე, მაშინ, როდესაც პარტიის მარჯვენა მხარე ამ დროს ფრანგ სოციალისტებთან ახირებულ პოლიტიკას განაგრძობს.

პუბლიცისტები ამ ბანაკიდან ორასი გაგრძელების პასუხს იმეგობრებენ საფრანგეთის სოციალისტებს ახვევენ თავზე. იმ საბუთით, რომ მათ ელზას ლორენის უკან დაბრუნება არ უარყვეს. გერმანიის ს. დ. ლენჩის აზრით ელზას ლორენის უკან დაბრუნების მოთხოვნა საფრანგეთის სოციალისტების მხრით იგივეა, რაც გერმანიის

ნის სასარგებლოთ მოსალოდნელი ანტი-სია ბელგიაში, საფრანგეთში და რუსეთში, რასაც გერმანიის აგრარებისა და მსხველი მრეწველთა მოთხოვნით ბეტმან-გოლდვეგი სადილობს.

ს. დ. დავიდი (რევინ-ონისტების ერთი ლიდერთაგანი) კიდევ სულ იმის მტკიცებაშია, რომ „სამთა შეთანხმება“ გერმანიის წინააღმდეგ „დაპყრობითი ომს“ აწარმოებს; ამიტომ, მისი აზრით, საქირაა, რომ გერმანიის მთავრობამ ყოველი ღონე იხმაროს და ბრძოლის ველზე კიდევ იმაზე მეტი გამარჯვება მოიპოვოს, რაც დღემდე აქვს მოპოვებული; და ეს საქირაა, დავიდის აზრით, იმიტომ, რომ ამით რაც შეიძლება მალე დამყარდება თურმე ხელსაყრელი და მკვიდრი მშვიდობიანობა. დავიდის შემდეგ ცნობილია ზინუდევუმსაც დაარღვია სირუჟე და გერმანიის მუშებს რწმუნება დაუწყა: საფრანგეთის სოციალისტები დაპყრობითი ომს ქადაგებენ! ასე გადაამლაშეს გერმანიის ს. დ. პარტიის მემარჯვენეებმა.

— ელი.

ომის გავლენა.

საკმარისი იქნება ღრმათა და საგვებით გადავთვლიეროთ ისტორიის ფურცლები, რომ დავრწმუნდეთ იმაში, თუ რა უსასტიკესი გავლენა აქვს ომს ხალხის ყოფა-ცხოვრებაზე. ომიანობის დროს ხალხი განიცდიდა და განიცაის დღეს ყოველგვარ კრიზისებს, რომლის გადატანაც ხალხს ძვირათ უჯდება და რომელიც მას თვალსაჩინო დაღს ასვამს. უბრ-ველეს ყოვლისა ომი საშინელებაა იმით, რომ ის წარმოადგენს საკუთხეველს, რომელიც იწირავს ურიცხვ მხვერპლს ადამიანებისას რომელთა ზღვა სისხლითაც ირწყვება და პოზიერდება მიწა-წყალი. მაგრამ ასეთ უბედურებას ხალხი როგორმე გაუძლებს რომ ომს მეორე უფრო მომავლინებელი გავლენა არ ქონდეს ხალხზე. ეს ვახლავთ მეტის-მეტი ეკონომიური დაქვეითება ხალხის მდგომარეობისა. მაშ.სადამე, მეომარ ქვეყნებს ომი ავლანებს ცხოვრების ყოველგვარ დაქინებას, რადგანაც ეკონომიური სისუსტე. წარმოამოზობია, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, ყოველგვარი სისუსტისა.

სახელმწიფო ნხოლოდ მაშინ არის განვითარებული, თუ კი მას ეკონომიური მდგომარეობა ხელს უწყობს. ომი ყოველსახელმწიფოს ცხოვრებას აღუნებს, მაგრამ არა ერთნაირათ. ის ერთი უფრო ძაბუნდება ომიანობის დროს, რომლის მდგომარეობაც არც ომამდე იყო სანატრელი. ასე რომ, ღარიბ ქვეყნისათვის ომი ბოლო მომდებია; ის მას ასამარებს. ძლიერზე კი მისი გავლენა უფრო სუსტია.

— დღევანდელმა საერთაშორისო ომმა ცეცხლს ალში გახვია ბევრი სახელმწიფო და, ეპეს გარეშე, არც ჩვენს ქვეყანას დატოვებდა ხელ-უხლებელი. ომის ტალღამ ჩვენამდამაც მოაღწია და ძირიან ფესვიანათ შეარყია ჩვენი ცხოვრების სვე-ბედი. მატერიალურმა დაქვეითებამ დღეს ომის გამო ჩვენში ყველაზე მეტათ იჩინა თავი, როგორც ღარიბ ქვეყანაში. მაგრამ დღევანდელი ომის გავლენის ცუდი ნიშნები უფრო ნათელია სოფლათ. სოფლის ბედი არც წინათ იყო ჩვენში კარგი და დღეს კი მისი მდგომარეობა სატირალია, რადგან ომი მთელი თავისი სიგრძე-სიგანით მძიმე ტვირთად დააწვა ისედაც ვაძვალ-ტყავებულ სოფლის ხალხს. ეკონომიური სისუსტე გამოწვეულია ცხოვრების სიძვირისაგან. დღეს საქირა საქონლის შემოტანა უცხო ქვეყნებიდან ძნელია, რუსეთ-

ში კი ცოტა კეთდება, ამიტომ ყველაფერს დიდი ფასი დაელო, ე. ი. ცხოვრება გაძვირდა. მაგალითად, შაბიამანი, რომელიც შარშან ღირდა ოთხი-ხუთი მანეთი, დღეს ფასობს ორმოც მანეთად. სოფლებებს არ აქვთ საშუალება იყიდონ შაბიამანი და უაქიმონ თავის ვენახს. ამით მი, როგორც ვიცით, ღვინის შემოსავალი მოიკლებს, და წრევანდელი ცუდი მდგომარეობა მომავალ წელში უფრო უარესი შეიქნება.

— შეიწუხეთ, ბატონებო, თავით გაიარეთ სოფლათ და გაეცნობით იქ ომის გავლენის სურათს. ყოველ ნაბიჯზე თქვენ შეგვხვდებით ოჯახი, ეზო-გარემო მოლუშულათ გამოშინრალი, რადგან მისი მესვეურნი-მამაკაცი ბრძოლის ველზე წაუყვანიათ, და თითქოს დღეს თუ ხვალ მას მოვლის.

ღიახ, სწორეთ ასე თანდათანობით ეცლებათ ოჯახებს თავიანთი მესვეურები, რჩება დაუმუშავებელი ყველაფერი, და ამნაირათ ურიცხვი ოჯახის მესაკუთრეობას ბოლო ედება. ხშირია ისეთი მაგალითიც, რომ თქვენ შეხვდებით ოჯახს, სადაც ერთ დროს ცხოვრება ყვავდა, მაგრამ დღეს კი კარ-გამოკეტლია. ეს იმან გამოიწვია, რომ, თუმცა მამაკაცს გარდა რჩება კიდევ ოჯახში ქალები, მაგრამ მიწის მუშაობის არ, გეგვებთ რა და ამის გამო ცოლ-შვილი, სტავებს ოჯახს, სხვას მიყვებიან ზ სახლ-კარ ადგილ მასული წყალწაღებულ რჩება. წარმოიდგინეთ აგრეთვე უწყალოთ დარბეულთა ძმა აპარლების სურათი, და გაეცნობით ომის საშინელ გავლენას ჩვენში.

მაგრამ ამ უარყოფით მხარეებთან ერთად ომს აქვს დიდებითი მხარეებაც: ომი ააშკარავებს სახელმწიფოს ყოველგვარ ვითარებას, ე. ი. ომი წარმოადგენს იმ ტერმომტერს, რომელზედაც ჩვენ ვკითხულობთ ამა თუ იმ სახელმწიფოს განათლების საფეხურს. და, ეპეს გარეშე, რომ არც დღევანდელი ომი წარმოადგენს გამონაკლისს ამ მხრივ. ჩვენ ნათლათ ვხედავთ დღეს, რომ თითოეული სახელმწიფოს (რასაცვირველია მეომარი) სუსტა და ძლიერ მხარეებს ვადარებთ ერთი მეორეს და მივიღვივართ შესაფერ დასკვნამდე. მაშასადამე, რადგან ომი ხდის ნიღაბს ხალხის მდგომარეობას, ამისათვის ომის შემდეგ მეომარ სახელმწიფოს მართვა გამგეობა ახლო გაცნობილი თავის სუსტ მხარეებთან სცემს სხვა და სხვა რეფორმებს, აარსებს სხვა და სხვა სასარგებლო დაწესებულებას, აწვითარებს სახალხო განათლებას და ყოველი ნაბიჯი მიმართულია ხალხის გაუმჯობესების შესაქმნელათ.

რაც შეეხება დღევანდელ ომს მის შემდეგათ ასახელებენ წვრილი ერების გათავისუფლებას. მაშასადამე, თუ კი ეს ასე მოხდება, თუ კი ეს ომი იქნება გრდემლი, რომელზედაც უნდა გაიქედოს პატარა და დანაგრულ ერთა თავისუფლება, მაშინ ჩვენც ქართველები გავიმკვალვით იმედი, რომ დღეს თუ არა ხვალ ამობრწყინდება მზე ბრწყინვალე მომავლისა და ამით უფრო გაუმკლავდებით იმ ცუდ გავლენებს, რომელიც მოაქვს ომს სასტიკი იერიშების სახით ჩვენს ცხოვრებაზე.

დათ. გოცირიძე.

ახალი ამბები

◆ გუშინ, 29 ივლისს, შავი ქვის მრეწველთა საბჭოში მოწვეული იყო ქართ. შორ. წ. კით. გამავრ. სახ. ქუთაისის განყოფილების გამგეობის კრება. მთის არწივის მგოსნის ვაჭაფშველას გარდაცვალების გამო. კრებაზე არჩეულ იქნა დებუტაცია დაკრძალვაზე დასასწრებლათ. ხვალ ამავე გამგეობას ექნება სხდომა მორიგი საკითხების გადასაწყვეტათ.

◆ კვირას, 2 აგვისტოს, კლასიკური კლდიაშვილის სახელობის საკითხველოს სასარგებლოთ დანიშნული იყო წარმოდგენა-სალამო, მაგრამ ეს სალამო ვაქას გარდაცვალების გამო შემდეგი დროისათვის გადაიდვა.

— 26 ივლისს, ქუთაისის ვაცე-გუბერნატორმა საგუბერნიო ექიმის თანდასწრებით ინახულა გადამდებ სენიანთა ქალაქის საავადმყოფო. საავადმყოფო სასურველად მოწყობილი ვერ აღმოჩნა. ამისათვის ბ. ვიცეგუბერნატორი სთხოვს ქალ. გამგეობას, რომ ეს საავადმყოფო საჩქაროთ მოაწყონ, რადგანაც მოსალოდნელია კუთაისში ხოლოცა განდეს და ავადმყოფების მოსათავსებლათ ბინა მზათ იყოსო.

◆ როგორც ოკრიბიდან გვწერენ, წელს სიმინდის მოსავალს კარგი პირი უჩანს, თუ წვიმებმა არ გააფუქა.

◆ ხვალ, 31 ივლისს, მომრიგებელ მოსაპართლესთან საჯარო ვაჭრობით გაიყიდება მიხეილ და ანა ერუქიძეების მოძრავი ქონება.

◆ გარშავის პოლიტენიკუმი. განაზრახვა აქვთ აღძრან შუამდგომლობა, რათა თბილისში გადმოტანონ იქნას ვარშავის ან რიგის პოლიტენიკუმი. ამის შესახებ მსჯელობა ექნება სრულიად რუსეთის სამხედრო სმმრეწველო კომიტეტის წარმომადგენელთა სიუზს, რომელის პეტროგრადში მოხდება ამ მოკლევანში.

◆ კვირას, 2 აგვისტოს, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში, ქალაქის მოურავის თავმჯდომარეობით მოხდება სამხედრო-სამრეწველო კომიტეტის ქუთაისის განყოფილების კრება. კრება განიხილავს საკითხებს: ქუთაისის გუბერნიის რომელ ქარხნებში შეიძლება მეომრები სათვის სამხედრო იარაღების დაზადება და რამდენით შეუძლია ქუთაისის საზოგადოებას ნივთიერათ დაზარება გალწიოს ჯარის კაცებს.

◆ ამას წინათ სამურხაყანოელ დამშეულებმა სამინისტროში შუამდგომლობა აღძრეს, რომ მიეცეთ მათ დამატებითი სესხათ 68,000 მანეთი 33,500 სულის დასაკმაყოფილებლათ.

როგორც ცნობა მოვიდა სამინისტრო ამ შუამდგომლობას თანაგრძობით შეხვედრია.

განათლების მინისტრმა განკარგულება გამოსცა, რომ ყველა ქალაქების ბირველ დაწყებით სასწავლებლებში სწავლა დაიწყოს 17 აგვისტოდან.

◆ გუშინ, 29 ივლისს, მდინარე რიონი კვლავ აღიღდა. ალბათ რაქა ლეჩხუმში დიდი წვიმები უნდა იყოს. ქუთაისშიაც ორი დღეა გამუდმებულათ სწვიმს.

◆ დღესთვის საფირჩხიანზე, დავით გიმნაზიის დარბაზში მოხდება ქალთა სახანო გიმნაზიის მოაფე ქალების მშობელთა და ხსენებული სასწავლებლის მასწავლებლების კრება იმის გადასაწყვეტათ, თუ როგორა წესრიგი უნდა დაიცვან მოაფე ქალებმა სასწავლებლის გარეთ. ასეთი კრება ჰქონდათ ქუთაისის თითქმის ყველა სასწავლებლებში.

წერილი რედაქციას.

წასულ წელს მთავრობამ სიმინდი დი-
ურითა ხალხს. ხალხს სრული იმედი ჰქონ-
და რაი წლის განმავლობაში წვილი
წვილით შეაძლებინებდნენ ვალის გადახ-
დას, მაგრამ გლეხები მწარეთ მოსტყუე-
დნენ, ასე რომ ამან წინათ მზარის უფ-
როსმა მიიწვია დაბა ონში ყოველი საზო-
გადოებიდან მამასახლი და მწერლები
და დაავალა შარშან დარიგებული სიმინ-
დის ფაის გადახდენება. ეს მოულოდნე-
ლი ამბავი. მეხივით დაატყდა გლეხებს
თავზე, მით უფრო, წასულ წელზე არა
ნაკლები შიმშილობა არის ამ ქაშათ რა-
ქაში. რა გინდა მოსავლიანი წელიწადი
იქნეს, რაქს ექვსი თვის საყოფი საზრ-
დო თუ მოუვა, ექვსი თვის გამოსაკვებს
კი ყოველთვის ყიდულობს. სიმინდი შე-
მოაქვთ იმერეთიდან და ნაწილიც ოსე-
თიდან და, რადგან წასულ წელს იმე-
რეთში მოუსავლობა იყო, იქიდან სიმინდს
ვინდა გამოიტანდა. ოსეთისკენ მიმავალი
გზა კი შეკრულია მთელი წელიწადი,
ასე რომ, ორ თვეს, თუ შეიძლება მთაზე
გადასვლა ურმით. ახლა ამ ქაშათ რაქა-
ში სიმინდი ფუთი ორ მანეთად ფასობს,
ფასს კიდევ არავინა სჩივს, რომ სიმინდი
იშოვებოდეს. ხალხი საშინელ სიმშინს
განიცდის. ოსეთიდან ამ ქაშათ დ. ონში
ბლომათ გადმოუტანიათ სიმინდი. რო-
გორც მითხრეს, მზარის უფროსს განკა-
რულება მოუხდენია ჩარჩებს არ ჩაუყა-
რონ ხელში სიმინდი; მათთვის სიმინდის
ყიდვა აუკრძალავს, ვიდრე სოფლებში
არ იყილიან საყოფ სიმინდს.

ამ გაჭირვების დროს მთავრობისაგან
სესხის გადახდის მოთხოვნა შეუწყნარე-
ბელია და ვერც შესძლებს გალატაკეზუ-
ლი ხალხი მის შესრულებას. სრული იმე-
დი გვაქვს მზარის უფროსი შევა ხალხის
მდგომარეობაში და იშუამდგომლებს გუ-
ბერნატორის წინაშე სესხის გადახდისა-
თვის ვადის განგრძობაზე.

ცნობილი პეტრე წმინდანი თავისებუ-
რათ დათარგმობს. იგი ჩუმათ წასულა
სოფელ კვაცხუთში. დიდებმა გლე-
ხებში და თავისი ქადაგით ტყავს აძრო-
ბდა გაჭირვებულ ხალხს. მაგრამ აქ ან-
გარიში წაუხდა: მღ. ფოფხაძის მეთაუ-
რობით იგი აღმინისტრაციამ, დაატუსა-
ლა, ხალხისაგან შეგროვილი, ფული 25
მანეთი ჩამოართვეს და ბოქაულს წარუ-
დგინეს, შესაწირავი კი საჯაროთ გაყიდეს
დაქრილთა სასარგებლოთ. თუ ყველგან
ასე მოექცენ პეტრეს, როგორც დ. ონის
აღმინისტრაცია, იგი მალე გაანებებს
თავს თავის წმინდანისაგან.

ვანო ჭიჭინაძე.

ქუთაისის ქალაქის გამგეობის საეურნაღებოდ.

ან უკანასკნელ დროს საშინელმა სენ-
მა „ხოლერამ“ იჩინა თავი აღმოსავლეთ
საქართველოში. სახელდობ თბილისში,
ბაქოსა და ყარსის მიდამოებში. უკანასკ-
ნელის ასალავმავათ, როგორც შემოხსე-
ნებულ ქალაქებსა და მიდამოებში, აგრე-
თვე კასპიის ზღვიდან, ვიდრე შავ ზღვამ
დე ყველა სადგურში თადარიგს და დე
ზინფექციება მყვეს ხელი. სრულიად აღ-
კრძალეს მოუხარშავი წყლის სმა და ხი-
ლუელობის გაყიდვა.

ჩვენთვის გაუგებარია, თუ რა გარან-
ტია აქვს ქალაქის გამგეობას, რომ არავი-
თარ ზომებს არ ღებულობს საზარელი

სენის თავიდან ასაცილებლათ. ჩემს მოვა-
ლეობათ მიმართა აღვნიშნო შემდეგი:
დიდხანია, რაც ქალაქს უსუფთაობის
მწმენდელი ბოქვები, ამ სისაძაღლეს უაღ-
გოლო ადვილას სკლიან: სახელდობ კა-
ხიანოურში მოსეველის ქარხნის ქვემოთ.
ეს გარემოება საყურადღებოა მით, რომ,
როდესაც ქვენა ქარი ქრის საზარელი
სუნი მოაქვს ამ ადგილიდან, ეს მყრალი
სუნი ვრცელდება მთელ კახიანოურში და
ხშირათ, გლახა სუნის გამო, ამ მადამო-
ში გავლაც შეუძლებელი ხდება. ასეთი
მყრალის სუნი არის მოდებული მთელ ამ
მხარეში. ბალახვანის ქუჩაზე და სადგუ-
რის მიდამო ალაგებში გაუფენების დროს,
ვიდრე ხალხი მოძრაობას დაიწყებდეს.
ნუ დაგვავიწყდება, ბატონებო, რომ ამ
რაიონში იმყოფება, რამდენიმე ასეული
მცხოვრები; ამათ თუ მოუმატებთ ჯარის
კაცებს, რომლებს კარვებიც გაფანტუ-
ლია ამ ალაგებში, რამდენსამე ათასსაც
კი შეადგენს. ამიტომ საჭიროა ქალაქის
გამგეობამ საჭირო ზომები მიიღოს, რათა
უკანასკნელი „ბოქვები“, როგორც მცხოვ-
რებლებზე, ისე ჯარის კაცების კარვების
გაცილებით, დაბლა იცლებოდეს ხოლმე.
ეს გარემოება ფრიალ საყურადღებოა ჩვენ-
თვის. ამ საძაგელი სუნიდან მოსალოდნე-
ლია მვენე სენის ბაცილებამაც იჩინოს
თავი. ეს გარემოება კი თავზარ დამცემი
იქნება უმისოდაც დაზარალებულ ხალხი-
სთვის. უკეთეს მართველობა კეთილ ინე-
ბებს და ზომებს მიიღებს, ამით ისინი
უზრუნველ ყოფენ მცხოვრებლებს სხვა-
დასხვა ეპიდემიური სენისაგან.

ჩარხი.

დაბა-სოფელი.

ს. ოხა. (ქუთაისის მახრ). ეს სოფე-
ლი ქუთაისიდან ოცდა ათი ვერსის მან-
ძილზე იმყოფება. მთავარ შემოსავლიან
წყაროს მცხოვრებლებისა შეადგენს მე-
ვენახობა. ვენახი საუკუნოვოთ ვარგობს
ამ სოფელში, თუ კი ცოტა მოვლა მიიღ-
ქნა; წელს ძლიერ დაზარალდა წვი-
მებისა გაზაფხულისა და სიცივეებისაგან,
ამიტომ მოსავალს საშუალოზე ნაკლებს
მოელიან. ხენათესვას თუნდაც აქაურები
ეტანებინან, მაგრამ მიწის სიციფროვე და
თვით შეუფერებელი ნიადაგი ნებას არ
აძლევს მას წლის სარჩო მოაყვანოს.
მცხოვრებლების დიდი უმრავლესობა თი-
თქის ყოველ წელიწადს სიმინდს ყიდუ-
ლობს იანვარ თებერვალიდან, რაც დიდ
გაჭირვებაში ადებს გლეხებს ზაფხულო-
ბით. წელს ხომ ეს გაჭირვება გაორკეც-
და; აქაურები სიმინდს ყიდულობდნენ რკი-
ნის გზის სადგურ სერში, სადაც ორ
გვარი ნიხრია დაწესებული: ბოქაულისა
და თვით ვაჭრებისაგან. ბ. ბოქაულის
ნიხრით სიმინდი უნდა იყიდებოდეს ფუ-
თი 1 მ. 2 შ. ვაჭრების ნიხრით კი ფუ-
თი იყიდება 1 მ. და 2 აბ. ხან 1 მ. და
10 შ. როგორც მათ მოესურვებათ ყიდვის
დროს თუ დაგესწროთ ბ. ბოქაული
მათრახით ხელში ვაჭარი მოგყიდისთ
ფუთს 1 მ. 2 შ. და თუ არა მაშინ სი-
მინდს ან სულ დაგიმალვინ, ან მოგყი-
დიან თავის დაწესებულ ფასებში; ამ შე-
მთხვევაში ვაჭრობას წარმოებს დუქნის უკა-
ნა კარებით. ამ გვარათ გლეხს ჯერ ფუ-
ლის შოვნა უჭირს და მეტე ყიდვა სი-
მინდისა მეტად აქვს გაძნელებული. აი,

სად გამოადგებოდა წვილი კრედიტის
ამხანაგობა სოფელს, რომ ამხანაგობის
გამგეობა იყოს მომქმედი და გულშემატ-
კვარი საზოგადოებისა.

თითქმის ორი წელიწადია, რაც არ-
სებავს ს. ოხაში წვილი კრედიტის
ამხანაგობა. ოთხი თვის წინათ ამხანაგო-
ბის გამგეობას წევრებისათვის ჩამოურ-
თმევია ორი ათასი მანეთის ვექსილი. ამ
ფულით გამგეობას უნდოდა ვენახების
სააქიმოთ შაბიამანი გამოეწერა, მაგრამ,
რადაც გარეოებათ, ეს საქმე ვერ მოე-
წყო. შემდეგ გადასწყვიტეს გამოეწერათ
სიმინდი და სოფლებებისათვის ხელსაყ-
რელ ფასებში მიეწოდებიათ, მაგრამ ამ-
ხანაგობის გამგეობა, საწყუხაროთ, ვერც
ეს საქმე მოაწესრიგა. მიზეზი გაუგებ-
რია. საყურადღებოა ვიცოდეთ: ამ ორი
ათასი მანეთით ვინ საგებლობენ ეს სამი-
ოთხი თვე — გამგეობა, თუ კარძო პირე-
ბი? ორსავე შემთხვევაში — მოკლენა სამ-
წყუხაროა.

შეუზოვარი.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ დაგვიხსნათ რამე
ბატონ ტ. მ. წერალება და მოთხრობები
შე არ შეკუთხნას.

ტ. ბე მარგველაშვილი.

P. S. ვამოწმებთ, რომ ბ. ნი ტ. მ. ტი-
ტე მარგველაშვილი არ არის რედ.

ბ. რედაქტორო!

თქვენს პატ ვცემულ გაზეთში მოთავსე-
ბული წერილი საზნაურო გიმნაზიის შე-
სახებ ვრაც X-ისა ზოვიერთს ჩემი გო-
ნებია და გთხოვთ დაამოწმოთ, რომ ჯერ
მე არც ერთი წერილი გიმნაზიის შესახებ
არ დაიწერია.

ტრიფონ ჯაფარიძე.

P. S. ვამოწმებთ, რომ X-ი ბ. ნი ტრი-
ფონ ჯაფარიძე არ არის.

რედ.-გამომც. ი. თ. ცინცაძე

ძმათა ყორყოლდებების მალაზიაში

(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)

მიღებულია დიდგალი საპნის გასაკეთებელი „სოდა“

აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფესები
ყველაზედ ზომიერია როგორც წვილათ, აგრეთვე ნარდათ.

თ. მთავრიშვილის და ახს.

წიგნისა და საკანცელარიო მალაზიას ამა 1915/16 სასწავლო
წლ. დამსავლელი აქვს უმჯობესი

ქართული და რუსული სახელმძ- ვანელო წიგნები,

გეოგრაფიული ატლასები და კარტები და აგრეთვე საკანცელარიო ნივ-
თები: რვეულები, კალმები, კარანდაშები, კალმის ტარები, საწერი და
ფოშტის ქაღალდი და სხვა მრავალი საჭირო საკანცელარიო ნივთები.
აქვე იყიდება საშაფვილო და სახალხლო წიგნები, ყველა ახალი
ქართული და რუსული ლიტერატურული ნაწარმოები და სხვ.

სადგურ ხამსილში („ხამსია ვოლფი“) ტყიბულის რკინის
გზ. უბოზე.

სამკურნალო აბანო

პ. ვ. ოზოლაძის.

ვაუწყებთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ 1 მაისიდან ბანის-
სნა სმეონი. ეს წყალი როგორც გაროკლეულია, კურნავს
მრავალ სხვა და სხვა ავთიმყოფობისაგან და უმეტესათ კი:
ქარების (რევმატიზმის), თავის, კუჭის ტკივლისაგან, ნერვე-
ბის სისუსტისაგან, ჩაყოლილი ციებისაგან (მალარიისაგან) და
აგრეთვე ძალ-ღონეს მატებს სუსტ ადამიანებს. წყალი მიიღება
ცივი და თფილიც. ხენებულები აბანო არის სადგურიდან და-
შორებული 100 საყენით. იქვეა სუფთა ბანები. ხელმისაწ-
დომ ფასებში. აბანო მუდმივ მუშაობს. სანოვაგეც ყველაფე-
რი იშოვება. მატარებელი გადის დილა და შეადგებენ. თ.